კრისტიან ნორბერგ-შულცი (1926–2000) - ნორვეგიელი არქიტექტორი, არქიტექტურის თეორეტიკოსი და ისტორიკოსი, XX საუკუნის არქიტექტურული ფენომენოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. იგი განსაკუთრებით ცნობილია იმით, რომ მარტინ ჰაიდეგერის ფენომენოლოგიური ფილოსოფია არქიტექტურისა და ადგილის თეორიას დაუკავშირა.1970-იანი წლებიდან მისი ნაშრომები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ადგილის (place), ბინადრობის (dwelling), იდენტობის (identity) და ადგილის სული (genius loci) ცნებებს. მისი აზრით, არქიტექტურის მთავარი ამოცანაა შექმნას ისეთი გარემო, რომელიც ადამიანს სამყაროში ორიენტაციისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობას მისცემს.

თარმგანი შესრულებულია კრისტიან ნორბერგ-შულცი, *Genius Loci: Towards a Phenomenology of Architecture*. New York: Rizzoli, 1980 - ის მიხედვით.

წინასიტყვაობა (*Preface*)
თავი I. ადგილის ფენომენი (*The Phenomenon of Place)*

თარგმანი: დავით ჩიხლაძე
სამეცნიერო და სტილისტური რედაქტირება: ანა ჩორგოლაშვილი

შენიშვნა: განმარტებები მომზადებულია ქართული თარგმანისთვის სამეცნიერო რედაქტორის მიერ.

კრისტიან ნორბერგ-შულცი
Genius Loci (ადგილის სული)
არქიტექტურის ფენომენოლოგიისთვის

წინასიტყვაობა

„ლოგიკა, რა თქმა უნდა, შეურყეველია, მაგრამ მას არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ადამიანს, რომელსაც სიცოცხლე სურს.“[1]
ფრანც კაფკა[2]: “პროცესი“

წინამდებარე წიგნი ჩემი თეორიული ნაშრომების „განზრახვები არქიტექტურაში“ (Intentions in Architecture)[3] და „არსებობა, სივრცე და არქიტექტურა“ (Existence, Space and

[1] ფრანც კაფკა, *Der Prozess* [„პროცესი“]. რედ. მაქს ბროდი. ბერლინი: *Die Schmiede*, 1925.
[2] ფრანც კაფკა (1883-1924) - გერმანულენოვანი მწერალი, მოდერნისტული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი.
[3] ქრისტიან ნორბერგ-შულცი, *Intentions in Architecture* (Cambridge, MA: MIT Press, 1965).

Architecture)[4] გაგრძელებაა. ის ასევე უკავშირდება ჩემს ისტორიულ კვლევას „მნიშვნელობა დასავლურ არქიტექტურაში“ (Meaning in Western Architecture)[5]. ამ ნაშრომებისთვის საერთოა მოსაზრება, რომ არქიტექტურა ადამიანისთვის „ეგზისტენციალურ საყრდენს“ წარმოადგენს. შესაბამისად, ჩემი მთავარი მიზანია არქიტექტურის ფსიქოლოგიური ასპექტების და არა მისი პრაქტიკული მხარის კვლევა, თუმცა, რა თქმა უნდა, ვაღიარებ, რომ ამ ორ ასპექტს შორის ურთიერთკავშირი არსებობს. ნაშრომში „განზრახვები არქიტექტურაში“ პრაქტიკული, „ფუნქციონალური“ განზომილება განიხილებოდა, როგორც ყოვლისმომცველი სისტემის ნაწილი. თუმცა, ამავდროულად, ხაზგასმული იყო, რომ „გარემო ადამიანებზე გავლენას ახდენს და ეს გულისხმობს იმას, რომ არქიტექტურის მიზანი სცილდება ადრეული ფუნქციონალიზმის მიერ მოცემულ განმარტებას“.

აღქმის და სიმბოლიზაციის გამოწვლილვითი[6] განხილვის შედეგად აღინიშნა, რომ ადამიანი საყრდენს მხოლოდ სამეცნიერო გაგების გზით ვერ მოიპოვებს. მას ჭირდება სიმბოლოები, ე. ი. ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც “ცხოვრების ყოველდღიურობის რეპრეზენტაციას“[7] ახდენენ. ხელოვნების ნიმუშის კონცეფცია, როგორც ცხოვრებისეული სიტუაციის კონკრეტიზების, წინამდებარე წიგნშიც შენარჩუნებულია. ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნილებაა ცხოვრებისეული სიტუაციებისთვის მნიშვნელობის მინიჭება, ხოლო ხელოვნების ნიმუშის მიზანია „შეინარჩუნოს“ და გადასცეს ეს მნიშვნელობები. „მნიშვნელობის“ კონცეფცია ასევე განიხილებოდა წიგნში “განზრახვები არქიტექტურაში“. ზოგადად, ეს ადრეული ნაშრომი მიზნად ისახავდა არქიტექტურის გაგებას კონკრეტული არქიტექტურული ენით და ტერმინებით და ეს მიზანი დღესაც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია. დღეს დიდ დაბნეულობას იწვევენ ისინი, ვინც არქიტექტურის განხილვისას ყველაფერზე საუბრობენ, გარდა თავად არქიტექტურისა! ჩემი ტექსტები ირეკლავენ არქიტექტურისადმი “რწმენას”. მე უარვყოფ, რომ არქიტექტურა, ხალხური ან მონუმენტური, ფუფუნებაა. ან ის “მოსახლეობაზე შთაბეჭდილების მოსახდენად” (Rapoport)[8] იქმნება . არ არსებობს სხვადასხვა „სახის“ არქიტექტურა, არამედ არსებობს სხვადასხვა გარემოება, რომელიც ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, განსხვავებულ გადაწყვეტას მოითხოვს. ჩემი ზოგადი მიზანი და მიდგომა, ამდენად, უცვლელი დარჩა ზემოთ ნაჩვენებ ყველა ნაშრომში. თუმცა, დროთა განმავლობაში მეთოდში გარკვეული ცვლილება მოხდა. წიგნში „განზრახვები არქიტექტურაში“ (Intentions in Architecture) ხელოვნება და არქიტექტურა „სამეცნიერო გზით” იყო გაანალიზებული, ანუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან ნასესხები მეთოდებით. მე არ მიმაჩნია ეს მიდგომა მცდარად, მაგრამ დღეს სხვა მეთოდებს უფრო მეტი სიცხადის შემომტანად მივიჩნევ. როდესაც არქიტექტურას ანალიტიკურად ვუდგებით, ჩვენ ხელიდან ვუშვებთ კონკრეტული

---

[4] ქრისტიან ნორბერგ-შულცი, *Existence, Space and Architecture* (London: Studio Vista, 1971).
[5] ქრისტიან ნორბერგ-შულცი, *Meaning in Western Architecture* (New York: Praeger Publishers, 1975).
[6] გამოწვლილვითი - ის, რაც დეტალურია; დეტალური, ყოველი მხრით მოცული, თითოეული წვრილმანის მითითებით.
[7] რეპრეზენტაცია (ლათ. *repraesentatio* - წარმოდგენა, წარმოჩენა) - რაიმე ობიექტის, მოვლენის, იდეის, პიროვნების ან სოციალური რეალობის იმგავარად წარმოჩენა ან ასახვა, რომელიც მის მნიშვნელობას, აღქმასა და ინტერპრეტაციას აყალიბებს.
[8] ამოს რაპოპორტი, *House Form and Culture* (Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall, 1969).

გარემოს ხასიათს, ანუ ზუსტად იმ თვისებას, რომელიც ადამიანის იდენტიფიკაციის ობიექტია და რომელსაც შეუძლია მას ეგზისტენციალური საყრდენის განცდა მისცეს. ამ ნაკლოვანების დასაძლევად, წიგნში „არსებობა, სივრცე და არქიტექტურა“ (Existence, Space and Architecture) მე შემოვიტანე „ეგზისტენციალური სივრცის“ კონცეფცია. „ეგზისტენციალური სივრცე“ არ არის ლოგიკურ-მათემატიკური ტერმინი, არამედ ადამიანსა და მის გარემოს შორის ურთიერთობის საფუძვლებს მოიცავს. მოცემული წიგნი აგრძელებს გარემოს კონკრეტული გაგების ძიებას. ეგზისტენციალური სივრცის კონცეფცია აქ დაყოფილია ურთიერთშემავსებელ ტერმინებად: „სივრცე“ და „ხასიათი“, „ორიენტაციისა“ და „იდენტიფიკაციის“ ძირითადი ფსიქიკური ფუნქციების შესაბამისად. სივრცე და ხასიათი არ განიხილება წმინდა ფილოსოფიურ ჭრილში (როგორც ეს გააკეთა ო. ფ. ბოლნოვმა)[9], არამედ პირდაპირ არქიტექტურას უკავშირდება, - არქიტექტურის, როგორც „ეგზისტენციალური სივრცის კონკრეტიზაციის“ განმარტებას შესაბამისად. „კონკრეტიზაცია“ შემდგომში აიხსნება „შეკრებისა“ და „ნივთის“ ცნებების მეშვეობით. სიტყვა „ნივთი“ თავდაპირველად შეკრებას ნიშნავდა და ნებისმიერი ნივთის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, თუ რას იკრებს იგი საკუთარ თავში. ამიტომაც, ჰაიდეგერმა[10] თქვა: „ნივთი იკრებს სამყაროს“.

ჰაიდეგერის ფილოსოფია იყო ის კატალიზატორი, რომელმაც შესაძლებელი გახადა ამ წიგნის შექმნა და განსაზღვრა მისი მიდგომა. არქიტექტურის, როგორც კონკრეტული ფენომენის გაგების სურვილი, რაც უკვე გამოხატული იყო ნაშრომში „განზრახვები არქიტექტურაში“ (Intentions in Architecture, 1963) ამ წიგნში ენისა და ესთეტიკის შესახებ ჰაიდეგერის ესეების წყალობით დაკმაყოფილდა, რომლებიც შეაგროვა და ბრწყინვალედ თარგმნა ინგლისურ ენაზე ა. ჰოფშტადტერმა („პოეზია, ენა, აზრი“, ნიუ-იორკი - Poetry, Language, Thought, 1971). უპირველეს ყოვლისა, ჰაიდეგერისგან „ბინადრობის“[11] კონცეფცია „ვისესხე”. „ეგზისტენციალური საყრდენი“ და „ბინადრობა“ სინონიმებია, ხოლო „ბინადრობა“ ეგზისტენციალური გაგებით არქიტექტურის მიზანია. ადამიანი ბინადრობს მაშინ, როდესაც გარემოში ორიენტირება და საკუთარი თავის ამ უკანასკნელთან იდენტიფიცირება შეუძლია, ან, მოკლედ რომ ვთქვათ, როდესაც იგი გარემოს როგორც საზრისის მქონეს აღიქვამს. შესაბამისად, ბინადრობა ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ „თავშესაფარი“. ის გულისხმობს, რომ სივრცეები[12], სადაც ცხოვრება მიმდინარეობს იგივე ადგილებია[13] ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ადგილი სივრცეა, რომელსაც მკაფიოდ გამოხატული ხასიათი გააჩნია. უძველესი დროიდან *genius loci*, ანუ „ადგილის სული“, აღიარებული რეალობად, რომელსაც

---

[9] ოტო ფრიდრიხ ბოლნოვი (Otto Friedrich Bollnow, 1903–1991) — გერმანელი ფილოსოფოსი და პედაგოგი, ფენომენოლოგიური და ეგზისტენციალური ფილოსოფიის წარმომადგენელი. მისი კვლევები ეხება გამოცდილებას, რომელსაც ადამიანი სივრცესა და საცხოვრებელი გარემოსთან ურთიერთობით იღებს.

[10] მარტინ ჰაიდეგერი (1889-1976) - გერმანელი ფილოსოფოსი, XX საუკუნის ფენომენოლოგიისა და ეგზისტენციალური ფილოსოფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი. მის ფილოსოფიაში საკუთარი ფესვებისგან მოწყვეტა (uprooting) აღნიშნავს ადამიანის გაუცხოებას საკუთარი წარმოშობის, ადგილის, ენისა და ტრადიციისგან, რაც არღვევს მის სამყაროში ყოფნის (being in the world) და მიკუთვნებულობის განცდას.

[11] ბინადრობა (*dwelling*; გერმ. *Wohnen*) — ჰაიდეგერის ფილოსოფიაში ადამიანის ყოფნის ფუნდამენტური ფორმა, რომელიც გულისხმობს სამყაროში ზრუნვით და ადგილისამდი მიკუთვნებულობით არსებობას.

[12] Space

[13] Place

ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდება და ეგუება. არქიტექტურა ნიშნავს *genius loci*-ს ვიზუალიზაციას, ხოლო არქიტექტორის ამოცანა საზრისის მქონე ადგილების შექმნაა, რითაც იგი ადამიანს ბინადრობაში ეხმარება.

მე კარგად მესმის წინამდებარე წიგნის ნაკლოვანებები. არაერთი პრობლემის განხილვა მხოლოდ ზედაპირულად მოხერხდა და ისინი შემდგომ დამუშავებას საჭიროებენ. თუმცა, წიგნი წარმოადგენს პირველ ნაბიჯს „არქიტექტურის ფენომენოლოგიისკენ", ანუ თეორიისკენ, რომელიც არქიტექტურას კონკრეტული, ეგზისტენციალური ტერმინებით განიხილავს.

ეგზისტენციალური განზომილების მოპოვება, ფაქტობრივად, წინამდებარე წიგნის მთავარი მიზანია. აბსტრაქტული, „სამეცნიერო" თეორიის ათწლეულების შემდეგ, სასწრაფოდ უნდა დავუბრუნდეთ არქიტექტურის ხარისხობრივ, ფენომენოლოგიურ გაგებას. პრაქტიკული პრობლემების გადაჭრას მანამ არაფერი ეშველება, სანამ ასეთი გააზრება არ იარსებებს. ამიტომ ეს წიგნი არ განიხილავს ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს. ეგზისტენციალური განზომილება არ „განისაზღვრება" სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, თუმცა, მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ ან შეაფერხონ გარკვეული ეგზისტენციალური სტრუქტურების (თვით-)რეალიზაცია. სოციალურ-ეკონომიკური პირობები ნახატის ჩარჩოს ჰგავს; ისინი გვთავაზობენ გარკვეულ „სივრცეს" ცხოვრების მიმდინარეობისთვის, მაგრამ მის ეგზისტენციალურ მნიშვნელობებს არ განსაზღვრავენ. ეგზისტენციალურ მნიშვნელობებს უფრო ღრმა ფესვები აქვთ. ისინი განისაზღვრება ჩვენი **სამყაროში-ყოფნის**[14] სტრუქტურებით, რომლებიც ჰაიდეგერმა გაანალიზა საკუთარ კლასიკურ ნაშრომში „ყოფნა და დრო" (*Sein und Zeit*, 1926). გარდა ამისა, ესეში „შენება, ბინადრობა, ფიქრი" (*Building, Dwelling, Thinking*, 1951) ჰაიდეგერმა ძირითადი ეგზისტენციალური სტრუქტურები მშენებლობისა და ბინადრობის ფუნქციებს დაუკავშირა, ხოლო ნაშრომში „ნივთი" (*The Thing*, 1950) აჩვენა **შეკრების** კონცეფციის ფუნდამენტური მნიშვნელობა. თანამედროვე არქიტექტორებმა, ზოგადად, გამორიცხეს ეგზისტენციალური განზომილება, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა სპონტანურად აღიარა მისი მნიშვნელობა. მაგალითად, ლე კორბუზიე[15] წერდა: „არქიტექტურის მიზანია **აღგვაფრთოვანოს**. არქიტექტურული ემოცია ჩნდება მაშინ, როდესაც ნამუშევარი ჟღერს ჩვენში სამყაროსთან თანხმობაში, რომლის კანონებსაც ვემორჩილებით, ვაღიარებთ და პატივს ვცემთ" (*Vers une architecture*, 1923). თუმცა, მხოლოდ ლუის კანთან[16] დაიბრუნა ეგზისტენციალურმა განზომილებამ თავისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა და მის შეკითხვაში: „რად ყოფნა სურს ამ შენობას?", პრობლემა მის არსებით ფორმაში განისაზღვრა.

---

[14] სამყაროში-ყოფნა (*In-der-Welt-sein*) - მარტინ ჰაიდეგერის ფუნდამენტური ონტოლოგიური ცნება, რომელიც აღნიშნავს, რომ Dasein-ის ყოფნა თავიდანვე სამყაროსთან განუყოფელი მიმართებით არის განსაზღვრული; Dasein - გერმანული სიტყვაა, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან: Da („აქ", „იქ", „აქვე") და Sein („ყოფნა"); სიტყვასიტყვით ნიშნავს „აქ-ყოფნას";Dasein - მარტინ ჰაიდეგერის ტერმინი, რომლითაც აღნიშნულია ადამიანის ყოფნის ონტოლოგიური წესი.

[15] ლე კორბუზიე (Le Corbusier, 1887-1965) - შვეიცარიელ-ფრანგი არქიტექტორი, ურბანისტი, თეორეტიკოსი და მოდერნისტული არქიტექტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი.

[16] ლუის კანი (Louis I. Kahn, 1901–1974) — ამერიკელი არქიტექტორი. XX საუკუნის არქიტექტურის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი.

ეგზისტენციალური განზომილება („ჭეშმარიტება“) ვლინდება ისტორიაში, მაგრამ მისი მნიშვნელობები სცილდება ისტორიულ სიტუაციას. მეორეს მხრივ, ისტორია მხოლოდ მაშინ ხდება საზრისის მქონე, თუ იგი წარმოადგენს ეგზისტენციალური განზომილების ახალ კონკრეტიზებას. ზოგადად, ეგზისტენციალური განზომილების კონკრეტიზება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის ნივთები გაკეთებული, ანუ ეს დამოკიდებულია ფორმასა და ტექნოლოგიაზე („ინსპირირებულ ტექნოლოგიაზე“, როგორც ლუის კანი ამბობდა). ეს ასევე მოიცავს ბუნებრივი გარემოს „როგორ“-ს. მოცემულ წიგნში ჩვენ გადავწყვიტეთ, ეგზისტენციალურ განზომილებას მივუდგეთ ადგილის ცნების მეშვეობით. ადგილი წარმოადგენს არქიტექტურის წილს ჭეშმარიტებაში. ადგილი არის ადამიანის ბინადრობის კონკრეტული გამოვლინება და მისი იდენტობა ადგილებისადმი მის კუთვნილებაზეა დამოკიდებული.

მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ კოლეგასა და სტუდენტს, რომლებიც შთამაგონებდნენ და მეხმარებოდნენ. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს მეუღლეს, ანა მარია დე დომინიჩისს, მისი კრიტიკისა და დაუღალავი დახმარებისთვის.

წიგნის კომპლექსური ხასიათის გამო, მე არ დავურთე ზოგადი ბიბლიოგრაფია. ყველა ცნობა მოცემულია სქოლიოში.

1. ადგილის ფენომენი

ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების-სამყარო კონკრეტული „ფენომენისგან“ შედგება. იგი შედგება ადამიანებისგან, ცხოველებისგან, ყვავილებისგან, ხეებისა და ტყეებისგან, ქვისგან, მიწისგან, ხისგან და წყლისგან, ქალაქებისგან, ქუჩებისა და სახლებისგან, კარებისგან, ფანჯრებისგან და ავეჯისგან. და იგი შედგება მზისგან, მთვარისა და ვარსკვლავებისგან, მოცურავე ღრუბლებისგან, ღამისა და დღისგან, ისევე როგორც წელიწადის ცვალებადი დროებისგან. მაგრამ ის ასევე მოიცავს არამატერიალურ ფენომენებსაც, როგორიცაა გრძნობები. ეს არის ის, რაც „მოგვეცა“, ესაა ჩვენი არსებობის „შინაარსი“. ამდენად, რილკე[17] კითხულობს: „ნუთუ ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ ვთქვათ: სახლი, ხიდი, შადრევანი, ჭიშკარი, დოქი, ხეხილი, ფანჯარა, — უკეთეს შემთხვევაში: სვეტი, კოშკი...“. ყველაფერი დანარჩენი, როგორიცაა ატომები და მოლეკულები, რიცხვები და ყოველგვარი „მონაცემები“ - აბსტრაქციები ან ინსტრუმენტებია, რომლებიც იმისთვისაა შექმნილი, რომ სხვა ამოცანებს ემსახურონ, ვიდრე ყოველდღიური ცხოვრების მიზნებს. დღეს დამკვიდრებულია, რომ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ინსტრუმენტებს, ვიდრე ჩვენს ცხოვრებისეულ სამყაროს.

კონკრეტული ნივთები, რომლებიც ჩვენს სამყაროს შეადგენენ , ურთიერთდაკავშირებულია რთული და ხანდახან წინააღმდეგობრივი გზებით. ზოგიერთი ფენომენი შეიძლება, მაგალითად, თავის თავში მოიცავდეს სხვებს. ტყე შედგება ხეებისგან, ხოლო ქალაქი

[17] რაინერ მარია რილკე (Rainer Maria Rilke, 1875 - 1926) - ავსტრიელი პოეტი. მოდერნისტული პოეზიის ერთ-ერთი ყველზე მნიშვნელოვანი ფიგურა.

შედგება სახლებისგან. „ლანდშაფტი“ სწორედ ასეთი ყოვლისმომცველი ფენომენია. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ფენომენი სხვებისთვის ქმნის „გარემოს“.

გარემოს აღსანიშნავი კონკრეტული ტერმინი არის **ადგილი.** ყოველდღიურ მეტყველებაში მიღებულია იმის თქმა, რომ **ქმედებებსა და მოვლენებს აქვს ადგილი**[18]. სინამდვილეში უაზრობაა რაიმე მოვლენის წარმოდგენა ადგილმდებარეობის მითითების გარეშე. ადგილი, აშკარად, არსებობის განუყოფელი ნაწილია.

რას ვგულისხმობთ მაშინ სიტყვაში „ადგილი“? აშკარაა, რომ ჩვენ ვგულისხმობთ უფრო მეტს, ვიდრე აბსტრაქტულ მდებარეობას. ჩვენ ვგულისხმობთ მთლიანობას, რომელიც შედგება კონკრეტულ საგნებისგან, რომელთაც გააჩნიათ მატერიალური სუბსტანცია, ფორმა, ტექსტურა და ფერი. ერთად აღებული, ეს საგნები „გარემოს ხასიათს“ განსაზღვრავენ, რაც ადგილის არსს წარმოადგენს. ზოგადად, ადგილი მოცემულია, როგორც გარკვეული ხასიათი ან „ატმოსფერო“. აქედან გამომდინარე, ადგილი არის თვისობრივი, „მთლიანი“ ფენომენი, რომელიც არ შეგვიძლია მის რომელიმე ცალკეულ თვისებამდე დავიყვანოთ, მაგალითად, სივრცით ურთიერთმიმართებამდე, ისე, რომ მისი კონკრეტული ბუნება თვალთახედვიდან არ დაგვეკარგოს.

1.ოსლო, ივნისი, 1976

ყოველდღიური გამოცდილება ასევე გვკარნახობს, რომ სხვადასხვა მოქმედებას განსხვავებული გარემო სჭირდება, რათა დამაკმაყოფილებლად ჩაიაროს. ამის შედეგად,

[18] It is common usage to say that acts and occurrences *take place*

ქალაქები და სახლები უამრავი განსხვავებული ადგილისაგან შედგება. ამ ფაქტს, რა თქმა უნდა, ითვალისწინებს დაგეგმარებისა და არქიტექტურის თანამედროვე თეორია, თუმცა, აქამდე ეს პრობლემა ზედმეტად აბსტრაქტულად განიხილებოდა. ადგილის ათვისება (Taking place), როგორც წესი, რაოდენობრივი, „ფუნქციური“ გაგებით ესმით, რაც სივრცით გადანაწილებას და განზომილებების შექმნას გულისხმობს. მაგრამ, განა „ფუნქციები“ ყველგან ერთნაირი და ადამიანთათვის საერთო არაა? აშკარად არა. „მსგავსი“ ფუნქციებიც კი, თუნდაც ისეთი ძირითადი, როგორიცაა ძილი და ჭამა, კულტურული ტრადიციებისა და გარემო პირობების შესაბამისად, სრულიად განსხვავებულად მიმდინარეობს და სხვადასხვა თვისების მქონე ადგილებს მოითხოვს. ამგვარად, ფუნქციურმა მიდგომამ უგულებელყო ადგილი, როგორც კონკრეტული „აქ“ თავისი ინდივიდუალური იდენტობით.

ვინაიდან ადგილები რთული ბუნების მქონე თვისებრივ მთლიანობებს წარმოადგენს, მათი აღწერა ანალიტიკური, „სამეცნიერო“ ცნებებით შეუძლებელია. პრინციპულად, მეცნიერება ახდენს მოცემულობის „აბსტრაგირებას“, რათა მიაღწიოს ნეიტრალურ, „ობიექტურ“ ცოდნას.

თუმცა, ამ დროს იკარგება ყოველდღიური ცხოვრებისეული-სამყარო, რომელიც, ზოგადად, ადამიანის, ხოლო კონკრეტულად კი, მგეგმარებლების და არქიტექტორების მთავარი საზრუნავი უნდა იყოს. საბედნიეროდ, ამ ჩიხიდან გამოსავალი არსებობს და ეს არის მეთოდი, რომელიც ცნობილია როგორც **ფენომენოლოგია**.

ფენომენოლოგია ჩაისახა როგორც „ დაბრუნება საგნებთან“, აბსტრაქციებისა და გონებრივი კონსტრუქციების საპირწონედ. აქამდე ფენომენოლოგები, ძირითადად, დაკავებულნი იყვნენ ონტოლოგიით, ფსიქოლოგიით, ეთიკითა და, გარკვეულწილად, ესთეტიკით, ხოლო ყოველდღიური გარემოს ფენომენოლოგიას შედარებით მცირე ყურადღებას აქცევდნენ. მართალია, არსებობს რამდენიმე პიონერული ნაშრომი, მაგრამ ისინი თითქმის არ შეიცავენ პირდაპირ მითითებებს არქიტექტურაზე. ამიტომაც, გადაუდებლად საჭიროა არქიტექტურის ფენომენოლოგია.

ზოგიერთმა ფილოსოფოსმა, რომელიც შეეხო ჩვენი ცხოვრებისეული-სამყაროს პრობლემას, „ინფორმაციის“ წყაროდ ენა და ლიტერატურა გამოიყენა. პოეზიას რეალურად შესწევს უნარი განასხეულოს ის მთლიანობები, რომლებსაც მეცნიერება ვერ სწვდება და, ამიტომ, მან შეიძლება მიგვანიშნოს, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ საჭირო გაგების მისაღწევად. ერთ-ერთი ლექსი, რომელიც ჰაიდეგერმა გამოიყენა ენის ბუნების ასახსნელად, არის გეორგ ტრაკლის[19] ბრწყინვალე „ზამთრის საღამო“. ტრაკლის სიტყვები ჩვენს მიზანსაც კარგად ემსახურება, რადგან ისინი წარმოაჩენენ ცხოვრებისეულ სიტუაციას სადაც, ადგილის ასპექტი მკვეთრად იგრძნობა.

ზამთრის საღამო

ფანჯარა თოვლის ფანტელის ცვენით მორთულა,
მწუხრის ზარი დიდხანს გუგუნებს,

[19] გეორგ ტრაკლი (Georg Trakl, 1887–1914) — ავსტრიელი პოეტი, გერმანულენოვანი ექსპრესიონიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი.

სახლი - კეთილად მოწყობილი,
ტაბლა - მრავალთათვის გაშლილი.

მოხეტიალენი, არცთუ ცოტანი,
მოდიან კართან ბნელი ბილიკებით.
ოქროსფრად ჰყვავის ხე მადლისა,
დედამიწის გრილ ნამს რომ ისრუტავს.

მოხეტიალე შემოდის სახლში მშვიდად;
ტკივილს ზღურბლი ქვად გადაუქცევია.
 და იქ კაშკაშა შუქზე ელავს
 მაგიდაზე პური და ღვინო.[20]

ჩვენ არ გავიმეორებთ ჰაიდეგერის ამ ლექსის ღრმა ანალიზს, არამედ მივუთითებთ რამდენიმე თვისებაზე, რომელიც ნათელს ჰფენს ჩვენს პრობლემას. ზოგადად, ტრაკლი კონკრეტულ სახეებს იყენებს, რომლებსაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან ვიცნობთ. ის საუბრობს „თოვლზე“, “ფანჯარაზე“, “სახლზე“, “მაგიდაზე“, “კარზე“, “ხეზე“, “ზღურბლზე“, “პურსა და ღვინოზე“, “სიბნელესა“ და “სინათლეზე“, ხოლო ადამიანს ახასიათებს, როგორც „მოხეტიალეს“. თუმცა, ეს სახეები ასევე გულისხმობს უფრო ზოგად სტრუქტურებსაც. უპირველეს ყოვლისა, ლექსი განასხვავებს **გარე და შიდა** სივრცეს[21]. **გარე** სივრცე წარმოდგენილია პირველი სტროფის პირველ ორ ტაეპში და მოიცავს როგორც **ბუნებრივ**, ისე **ადამიანის მიერ შექმნილ** ელემენტებს. ბუნებრივი ადგილი მოცემულია თოვლში, რომელიც ზამთარს გულისხმობს და საღამოში. თვით ლექსის სათაურიც კი ყველაფერს ამ ბუნებრივ კონტექსტში აქცევს. თუმცა, ზამთრის საღამო უფრო მეტია, ვიდრე, უბრალოდ, თარიღი კალენდარში. როგორც კონკრეტული მოცემულობა, იგი განიცდება როგორც გარკვეული თვისებების ერთობლიობა, ან ზოგადად როგორც *Stimmung*[22] ან „ხასიათი“,

---

[20] A WINTER EVENING

Window with falling snow is arrayed,
Long tolls the vesper bell,
The house is provided well,
The table is for many laid.

Wandering ones, more than a few,
Come to the door on darksome courses.
Golden blooms are thee of graces
Drawing up the earth’s cool dew.

Wanderer quietly steps within;
Pain has turned the threshold to stone.
There lie, in limbed brightness shown,
Upon the table bread and wine.

[21] An outside and an inside

[22] Stimmung - გერმანული ტერმინი, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს „განწყობას“ ან „ტონალობას“. ფენომენოლოგიურ და არქიტექტურის თეორიის კონტექსტში იგი აღნიშნავს სივრცის, ადგილის ან გარემოს იმ ატმოსფეროს, რომელიც ადამიანის განცდასა და გამოცდილებას აყალიბებს.

რომელიც ქმნის ფონს მოქმედებებისა და მოვლენებისთვის. ლექსში ეს ხასიათი მოცემულია ფანჯარაზე გრილი, რბილი და უხმო თოვლის ფანტელის ცვენით - რომელიც მალავს იმ საგნების კონტურებს, ჯერ კიდევ შესამჩნევი რომ არიან მზარდ სიბნელეში. სიტყვა „ცვენა“, გარდა ამისა, ქმნის სივრცის განცდას, ან უფრო ზუსტად: მიწისა და ცის ნაგულისხმევ არსებობას. სიტყვების მინიმუმით ტრაკლს ამგვარად არსებობაში მოჰყავს მთლიანი ბუნებრივი გარემო. მაგრამ, გარე სივრცეს ასევე გააჩნია ადამიანის მიერ შექმნილი თვისებებიც. ამაზე მიუთითებს მწუხრის ზარი, რომელიც ყველგან ისმის და „პირად“ შიდა სივრცეს ყოვლისმომცველი, „საჯარო“ მთლიანობის ნაწილად აქცევს. თუმცა, მწუხრის ზარი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ადამიანის მიერ შექმნილი არტეფაქტი. ის არის სიმბოლო, რომელიც შეგვახსენებს იმ საერთო ფასეულობებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ მთლიანობას. ჰაიდეგერის სიტყვებით: „საღამოს ზარის რეკვას ადამიანები, როგორც მოკვდავნი, ღვთაებრივის წინაშე მიჰყავს“.[23]

შიდა სივრცე წარმოდგენილია მომდევნო ორ ტაეპში. იგი აღწერილია როგორც სახლი, რომელიც ადამიანს სთავაზობს თავშესაფარს და უსაფრთხოებას იმით, რომ შემოზღუდული და „კეთილმოწყობილია“. თუმცა მას აქვს ფანჯარა - ღიობი, რომელიც შიდა სივრცეს, როგორც გარე სივრცის შემავსებელს ისე დაგვანახებს. სახლის შიგნით, ჩვენ ვხედავთ მაგიდას, როგორც საბოლოო ფოკუსს, რომელიც „მრავალთათვისაა გაწყობილი“. მაგიდასთან ადამიანები იკრიბებიან; ის არის ცენტრი, რომელიც ყველაზე მეტად ქმნის შიდა სივრცეს. შიდა სივრცის ხასიათი თითქმის არც არის სიტყვებით გადმოცემული, მაგრამ მაინც მოცემულია. ის ნათელი და თბილია, გარეთა ცივი სიბნელისგან განსხვავებით, ხოლო მისი სიჩუმე დამუხტულია პოტენციური ბგერებით. ზოგადად, შიდა სივრცე საგანთა გაგების სამყაროა, სადაც შეიძლება „მრავალთა“ ცხოვრება წარიმართებოდეს.

შემდეგი ორი სტროფი აღრმავებს პერსპექტივას, ადგილებისა და საგნების მნიშვნელობაზე ხაზგასმით, სადაც ადამიანი წარმოჩენილია როგორც „ბნელ ბილიკებზე“ მოხეტიალე . ნაცვლად იმისა, რომ უსაფრთხოდ ისვენებდეს შიგნით, ის გარე „ცხოვრების გზიდან“ მოდის, რაც ასახავს მის ბრძოლას უცნობ გარემოში „ორიენტაციის“ მოსაპოვებლად.

მაგრამ ბუნებას მეორე მხარეც აქვს: ის გვთავაზობს ზრდისა და ყვავილობის მადლს. „ოქროსფერი“ ხის სახეში ცა და მიწა ერთიანდება და სამყაროდ გადაიქცევა. ადამიანის შრომით ეს სამყარო პურისა და ღვინის სახით შემოდის სახლში, რის შედეგადაც შიდა სივრცე „ნათდება“, ანუ საზრისის მქონე ხდება.

ცისა და მიწის „წმინდა“ ნაყოფის გარეშე შიდა სივრცე „ცარიელი“ დარჩებოდა. სახლი და მაგიდა იღებს, იკრებს სამყაროს და „ახლოს“ მოაქვს ის. **შესაბამისად, სახლში ბინადრობა სამყაროში ცხოვრებას ნიშნავს.** მაგრამ ეს ბინადრობა არ არის ადვილი; მას ბნელ ბილიკებზე სიარულით უნდა მიაღწიო, ხოლო ზღურბლი გარე სივრცეს შიდა სივრცისგან ყოფს. ის წარმოადგენს „ნაპრალს“ „უცხოობასა“ და გამოვლენილ მნიშვნელობას შორის, განასახიერებს ტანჯვას და „ქვად არის ქცეული“. ამრიგად, ზღურბლი ბინადრობის პრობლემას წინა პლანზე წევს.

[23] მარტინ ჰაიდეგერი, *Unterwegs zur Sprache* (Pfullingen: Günther Neske, 1959), „Die Sprache“, 19.



2. გარეთ-შიგნით, მიწაზე ცის ქვეშ.ჰილდებრანდტი: გიოლერსდორფი, სამლოცველო.
3. გარეთ-შიგნით. ჯილიო კასტელო
4. Stimmung. ნორდიკული ტყე ოსლოს მახლობლად

ტრაკლის პოემა ნათელს ჰფენს ჩვენი ცხოვრებისეული-სამყაროს ზოგიერთ არსობრივ ფენომენს, კერძოდ კი, ადგილის ძირითად თვისებებს. პირველ ყოვლისა, ის გვაუწყებს, რომ ყოველი სიტუაცია როგორც ლოკალური, ისე ზოგადია. ზამთრის საღამო, რომელიც აქ არის აღწერილი, აშკარად ლოკალური, ნორდიკული ფენომენია, მაგრამ გარე და შიდა სივრცის ნაგულისხმევი ცნებები ზოგადია, ისევე როგორც ამ გამიჯვნასთან დაკავშირებული მნიშვნელობები. აქედან გამომდინარე, პოემა აკონკრეტებს არსებობის ძირითად თვისებებს. „დაკონკრეტება“ აქ ნიშნავს ზოგადის „ხილვადად“ ქცევას კონკრეტულ, ლოკალურ სიტუაციაში. ამ მოქმედებით პოემა სამეცნიერო აზროვნების საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს. მაშინ როდესაც მეცნიერება შორდება იმას, რაც „მოგვეცა“, პოეზია გვაბრუნებს კონკრეტულ საგნებთან, რითაც ფარდას ხდის ცხოვრებისეულ-სამყაროში არსებულ მნიშვნელობებს.

გარდა ამისა, ტრაკლის პოემა ერთმანეთისგან მიჯნავს ბუნებრივ და ადამიანის მიერ შექმნილ ელემენტებს, რითაც გვთავაზობს ამოსავალ წერტილს „გარემოს ფენომენოლოგიისთვის“.

ბუნებრივი ელემენტები, აშკარად, მოცემულობის პირველადი კომპონენტებია და ადგილები კი, როგორც წესი, გეოგრაფიული ტერმინებით განისაზღვრება. თუმცა, უნდა გავიმეოროთ, რომ „ადგილი“ ნიშნავს უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ ლოკაციას.

ბუნებრივი ადგილების აღწერის სხვადასხვა მცდელობას გვთავაზობს დღევანდელი ლიტერატურა „ლანდშაფტის“ შესახებ, მაგრამ ჩვენ კვლავ ვხედავთ, რომ ჩვეული მიდგომა ზედმეტად აბსტრაქტულია, რადგან „ფუნქციურ“ ან, შესაძლოა, „ვიზუალურ“ მოსაზრებებს ეფუძნება. დახმარებისთვის კვლავ ფილოსოფიას უნდა მივმართოთ. როგორც პირველი, ფუნდამენტური გამიჯვნა, ჰაიდეგერს შემოაქვს „მიწისა“ და „ცის“ ცნებები და ამბობს: „მიწა არის მომსახურე საშუალება, მოყვავილე და ნაყოფის მომცემი, გაშლილი კლდესა და წყალში, აღმავალი მცენარესა და ცხოველში...“. „ცა არის მზის თაღოვანი გზა, ცვალებადი მთვარის სვლა, ვარსკვლავების ციმციმი, წლის სეზონები, დღის შუქი და ბინდი, ამინდის სიბნელე და ნათება, მოფარფატე ღრუბლები და ეთერის ლურჯი სიღრმე...“.[24] როგორც მრავალი სხვა ფუნდამენტური მიგნება, მიწისა და ცის გამიჯვნაც შეიძლება ტრივიალურად მოგვეჩვენოს. თუმცა, მისი მნიშვნელობა მაშინ ვლინდება, როდესაც ჰაიდეგერისეულ „ბინადრობის“ განმარტებას ვამატებთ: „საშუალება შენი და ჩემი ყოფნის, საშუალება ჩვენი, ადამიანების ყოფნისა ამ მიწაზე, არის ბინადრობა...“.[25] მაგრამ „მიწაზე“ უკვე ნიშნავს „ცის ქვეშ“. ის ასევე უწოდებს სამყაროს იმას, რაც არის მიწასა და ცას შორის და ამბობს, რომ „სამყარო არის სახლი, სადაც მოკვდავნი ბინადრობენ“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ადამიანს აქვს ბინადრობის უნარი, სამყარო „შიდა სივრცე“ ხდება. ზოგადად, ბუნება ქმნის ვრცელ, ყოვლისმომცველ მთლიანობას, „ადგილს“, რომელსაც ლოკალური გარემოებების მიხედვით აქვს კონკრეტული იდენტობა. ეს იდენტობა, ანუ „სული“, შეიძლება აღიწეროს იმ კონკრეტული, „თვისობრივი“ ტერმინების საშუალებით, რომლებსაც ჰაიდეგერი მიწისა და ცის დასახასიათებლად იყენებს, ხოლო ამ ფუნდამენტურ გამიჯვნას ამოსავალ წერტილად იღებს. ამ გზით ჩვენ შეიძლება მივიდეთ **ლანდშაფტის** ეგზისტენციალურად რელევანტურ გაგებამდე, რომელიც უნდა შენარჩუნდეს, როგორც ბუნებრივი ადგილების მთავარი აღმნიშვნელი. თუმცა, ლანდშაფტის შიგნით არსებობს დაქვემდებარებული ადგილები, ისევე როგორც ბუნებრივი „საგნები“, როგორიცაა თრაკლის „ხე“. ამ საგნებში ბუნებრივი გარემოს მნიშვნელობა „კონდენსირებულია“.[26]

ადამიანის მიერ შექმნილი გარემოს ნაწილები, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა მასშტაბის „დასახლებებია“, სახლებიდან და ფერმებიდან დაწყებული, სოფლებითა და ქალაქებით დამთავრებული და, შემდეგ კი, „ბილიკები“, რომლებიც აკავშირებს ამ დასახლებებს, ისევე როგორც სხვადასხვა ელემენტები, რომლებიც ბუნებას „კულტურულ ლანდშაფტად“ გარდაქმნის. თუ დასახლებები ორგანულად არიან დაკავშირებული საკუთარ გარემოსთან, ეს გულისხმობს, რომ ისინი გვევლინებიან როგორც კერები (foci)[27], სადაც გარემოს ხასიათი

---

[24] მარტინ ჰაიდეგერი, „Bauen Wohnen Denken“, *Vorträge und Aufsätze* (Pfullingen: Günther Neske, 1954)
[25] მარტინ ჰაიდეგერი, *Vorträge und Aufsätze* (Pfullingen: Günther Neske, 1954), „Bauen Wohnen Denken“
[26] Condensed - ინგლისური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს შეკუმშულ, კონცენტრირებულ ან შემოკლებულ ფორმას, რომლის დროსაც ძირითადი შინაარსი შენარჩუნებულია, ხოლო მოცულობა შემცირებულია.
[27] Foci - ლათინური წარმოშობის ტერმინი, სიტყვა *focus*-ის მრავლობითი ფორმა, რომელიც ნიშნავს „კერებს“, „ცენტრებს“ ან „მნიშვნელობის თავმოყრის ადგილებს“.

კონდენსირებული და „ახსნილია“. ამრიგად, ჰაიდეგერი ამბობს: „ცალკეული სახლები, სოფლები, ქალაქები სამშენებლო ნამუშევრებია, რომლებიც თავის თავში და თავის გარშემო შემოიკრებენ მრავალფეროვან შუალედს. შენობებს მიწა, როგორც დასახლებული ლანდშაფტი, ახლოს მოჰყავთ ადამიანთან და ამავე დროს ქმნიან მეზობლური ბინადრობის სიახლოვის შეგრძნებას უსასრულო ცის ქვეშ.“[28] ამდენად, ადამიანის მიერ შექმნილი ადგილების ძირითადი თვისება არის კონცენტრაცია და შემოზღუდვა. ისინი არიან „შიდა სივრცეები“ სრული მნიშვნელობით, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი „აგროვებენ“ იმას, რაც შეცნობილია. ამ ფუნქციის შესასრულებლად მათ აქვთ ღიობები, რომლებიც უკავშირდება გარე სივრცეს. (და მხოლოდ შიდა სივრცეს შეიძლება ჰქონდეს ღიობები). გარდა ამისა, შენობა გარემოს მიწაზე დაყრდნობითა და ცისკენ აღმართვით უკავშირდება. საბოლოოდ, ადამიანის მიერ შექმნილი გარემო მოიცავს არტეფაქტებს ან „საგნებს“, რომლებიც შეიძლება შიდა კერებად (foci) გამოდგეს და ამით ხაზი გაესვას დასახლების შემკრებ ფუნქციას. ჰაიდეგერის სიტყვებით: „საგანი ანივთებს სამყაროს“[29], სადაც „განივთება“ გამოყენებულია პირვანდელი მნიშვნელობით - „შეკრება“, და შემდგომ: „მხოლოდ ის, რაც თავად სამყაროდან საკუთარ ერთიანობას იკრებს, იქცევა საგნად“.[30]

ჩვენი შესავალი შენიშვნები რამდენიმე მინიშნებას იძლევა ადგილების სტრუქტურის შესახებ. ზოგიერთი მათგანი უკვე დამუშავებულია ფენომენოლოგი ფილოსოფოსების მიერ და კარგ ამოსავალ წერტილს წარმოადგენს უფრო სრული ფენომენოლოგიისთვის.

პირველი ნაბიჯი გადადგმულია ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი ფენომენების, ან კონკრეტული ტერმინებით თუ ვიტყოდით, „ლანდშაფტისა“ და „დასახლების“ გამიჯვნით. მეორე ნაბიჯს წარმოადგენს მიწა-ცის (ჰორიზონტალური-ვერტიკალური) და გარეთ-შიგნით კატეგორიები.

ამ კატეგორიებს აქვთ სივრცული მნიშვნელობა და, შესაბამისად, „სივრცე“ კვლავ შემოდის, ოღონდ არა როგორც უწინარეს მათემატიკური ცნება, არამედ როგორც ეგზისტენციალური განზომილება. საბოლოო და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგმულია „ხასიათის“ ცნებით. ხასიათი განისაზღვრება იმით, თუ როგორი მოცემულობა აქვთ საგნებს და ის ჩვენს კვლევას საფუძველს უქმნის ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისეული-სამყაროს კონკრეტულ ფენომენებში. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია სრულად მოვიხელთოთ genius loci; „ადგილის სული“, რომელიც ძველმა ხალხმა აღიარა, როგორც ის „ოპოზიტი“, რასაც ადამიანი ბინადრობის წინაპირობად უნდა იღებდეს.

---

[28] იქვე
[29] მარტინ ჰაიდეგერი, *Vorträge und Aufsätze* (Pfullingen: Günther Neske, 1954), „Das Ding“
[30] იქვე

5.Stimmung. უდაბნოს სოფელი ხარტუმის გარეთ.
6.შიგნით. ძველი ნორვეგიული კოტეჯი, ტელემარკი.